



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 3

2021 წლის 26 თებერვალი

ხაშური



„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და თანადაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და თანადაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 მაისის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 19/05/2016; 010250050.35.143.016388) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა ¹

№	ღონისძიებების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	99/1	99	1
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალკანალიზაციის კომუნიკაციების რეაბილიტაცია	95/5	95	5
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვლები, სადარბაზოების შიდა რემონტი და პანდუსების მოწყობა	95/5	95	5
4	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ატრაქციონების შესყიდვა	85/15	85	15
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე ფასადის რეკონსტრუქცია (რეაბილიტაცია) ²	99/1	99	1

6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების მოწყობა/რეაბილიტაცია	99/1	99	1
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოასფალტება, კეთილმოწყობა	99/1	99	1

შენიშვნა:

1. ამხანაგობის ფულადი თანამონაწილეობის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას შრომითი თანამონაწილეობა შე საბამისი პროცენტული ოდენობის გათვალისწინებით.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ხაშურის მუნიციპალიტეტში ცენტრალურ ქუჩებზე მდებარე მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია დააფინანსოს 100%-ით.